ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N182

2016 წლის 24 ნოემბერი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N201 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სპორტის ღონისძიებების გეგმაში" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 ნოემბრის N01/10727 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N201 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სპორტის ღონისძიებების გეგმაში" თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ი.ხაჯიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სპორტის ღონისძიებების გეგმა

N	სპორტული ღონისძიების დასახელება	ჩატარების ადგილი	ჩატარების დრო	თანხა (ლარი)	ღონისძიების მომსახურების დასახელება
1	**მხიარული თამაშები** ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების პირველობა	ქობულეთი, სასპორტო სკოლა	II კვარტალი ივნისი	1200	1) ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენთა, მსაჯთა და ტექ.პერსონალის მომსახურება 2) სიგელებით, თასებით და პრიზებით უზრუნველყოფა 3) ღონისძიების ჩატარების ადგილის უზრუნველყოფა
2	**კარატე** საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აგვისტოს ომის გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	ქობულეთი	III კვარტალი აგვისტო	1200	1) სიგელებით, თასებით, მედლებითა და პრიზებით უზრუნველყოფა. 2) ღონისძიების ჩატარების ადგილის უზრუნველყოფა
3	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	დებულების შესაბამისად	I-II კვარტალი მარტი, აპრილი	2600	1) ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენთა, მსაჯთა და ტექ.პერსონალის მომსახურება 3) ღონისძიების ჩატარების ადგილის უზრუნველყოფა
4	ქობულეთის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში უბნებს შორის	ქობულეთი	II კვარტალი მაისი	4000	1) ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენთა, მსაჯთა და ტექ.პერსონალის მომსახურება 2) სიგელებით, თასებით და პრიზებით უზრუნველყოფა 3) ღონისძიების ჩატარების ადგილის უზრუნველყოფა

5	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა. პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერა. გამარჯვებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება ფინანსური ჯილდოთი.	დებულების ან მომართვის შესაბამისად	წლის მანძილზე	4100	ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა. პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერა.
				9900	გამარჯვებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება ფინანსური ჯილდოთი.
	სულ			23 000	